979/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (456)

1979 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 1 (456) იანვარი 1979 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. ეცადა-შვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ფოფხაძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის „საქჰიდროენერგომშენის“ № 67, წითელწყაროს რაიონის წითელწყაროს № 182, კასპის რაიონის ახალქალაქის № 83 და ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ.
11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 658 და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გურჯაანის № 664 საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.
12. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ.
13. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტების გამოყენების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ბერესტეცკისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ე. ელიზაროვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის განსაკუთრებული განყოფილებების თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. გოგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ლანდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. კ. კავკასიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომხეთის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. კაპლანიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. პირადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1979 წლის 21 იანვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 3 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. შალვა დავითის ძე **კიკნაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომრის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 9 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავა** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 9 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 9 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 ამხ. შ. მ. ეცადაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შოთა მათეს ძე **ეცადაშვილი** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 9 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 ამხ. ბ. თ. ლოგჟანიძის საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ბახვა თევდორეს ძე **ლოგჟანიძე** საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 ამხ. ბ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გურამ ნიკოლოზის ძე **ენუქიძე** საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამხ. ნ. ა. ფოფხაძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნუგზარ აკაკის ძე **ფოფხაძე** საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. სერგო ტარასის ძე **რიგვავა** საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის „საქჰიდროენერგომშენის“ № 67, წითელწყაროს რაიონის წითელწყაროს № 182, კასპის რაიონის ახალქალაქის № 83 და ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის „საქჰიდროენერგომშენის“ № 67, წითელწყაროს რაიონის წითელწყაროს № 182, კასპის რაიონის ახალქალაქის № 83 და ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1979 წლის 4 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 658 და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გურჯაანის № 664 საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. **განთავისუფლდნენ:** ბეგლარ დიმიტრის ძე მახარაშვილი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 658 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და შოთა მათეს ძე ეცადაშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გურჯაანის № 664 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

2. **დამტკიცდნენ:** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 658 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ზაურ შიოს ძე მესხიშვილი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გურჯაანის № 664 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ — რობიზონ გიორგის ძე მღებრიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. **მიღებულ იქნეს ცნობად** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების 1977 წლის 16 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს რესპუბლიკის განათლების, ვაჭრობის, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, ცეკავშირის გამგეობის და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციისა და კვების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცების საქმეში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის მასალები სათანადო რეაგირებისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 24 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტების გამოყენების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ინფორმაცია სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტების გამოყენების მდგომარეობის თაობაზე.

2. აღინიშნოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტების გამოყენების საქმეში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის მასალები სათანადო რეაგირებისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 24 იანვარი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. ვახტანგ სტეფანეს ძე **ადეიშვილი** — შიდასამსახურის რიგითი ჯარისკაცი.
2. მამია ერასტის ძე **ბერაძე** — შიდასამსახურის კაპიტანი.
3. რევაზ შოთას ძე **გამგებელი** — შიდასამსახურის რიგითი ჯარისკაცი
4. ედნარი ასლანის ძე **ვერულიძე** — შიდასამსახურის ლეიტენანტი.
5. ოთარ მირიანის ძე **დანელია** — შიდასამსახურის პოდპოლკოვნიკი.
6. ჯემალ შალვას ძე **იამანიძე** — შიდასამსახურის პოდპოლკოვნიკი.
7. შოთა ზაქარიას ძე **კაკალაშვილი** — შიდასამსახურის უმცროსი სერჟანტი.
8. გურამ გიორგის ძე **მეზურნიშვილი** — შიდასამსახურის უმცროსი სერჟანტი.
9. ოთარ ილიას ძე **მხეიძე** — შიდასამსახურის პოლკოვნიკი.
10. ოთარ ვალერიანის ძე **ნანიკაშვილი** — შიდასამსახურის მაიორი.
11. ჯვანდი კლიმენტის ძე **ოდიშარია** — შიდასამსახურის კაპიტანი.
12. ივანე ალექსანდრეს ძე **პლოხინოვი** — შიდასამსახურის უმცროსი სერჟანტი.
13. **ბეგი** გრიგოლის ძე **რამიშვილი** — შიდასამსახურის უფროსი ლეიტენანტი.
14. გიორგი სპირიდონის ძე **რობიტაშვილი** — შიდასამსახურის პოდპოლკოვნიკი.
15. რობერტ არტაშის ძე **უზუნოვი** — შიდასამსახურის ლეიტენანტი.

16. ანატოლი შოთას ძე **ჩაკვეტაძე** — შიდასამსახურის უფროსი ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 ამხ. ი. ი. ბერესტეცკისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო ტრიბუნალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტრიბუნალის წევრს ამხ. იაკობ ისაკის ძე **ბერესტეცკის** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 5 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 ამხ. ი. ე. ელიზაროვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილებების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით პოლკოვნიკ ილია ელიოზის ძე **ელიზაროვს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 5 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის** საპატიო **წოდება** მიენიჭოთ ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებს:

მარიამ დავითის ასულ **შურს** — პედაგოგს.

ღურსუნ მემედის ძე **ციცქილაძეს** — პედაგოგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის განსაკუთრებული განყოფილებების თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილებების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის განყოფილებების თანამშრომლები:

გენადი კირილეს ძე **ბრაჟნიხი** — პოდპოლკოვნიკი.

ანატოლი თევდორეს ძე **გალაშოვი** — პოდპოლკოვნიკი.

იური პეტრეს ძე — **კოსარევი** — პოდპოლკოვნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ სიმონის ძე **მოშჩენსკი** — მაიორი.
ვლადილენ ეფიმის ძე **ფრანგიშვილი** — პოდპოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 5 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 ამხ. ა. ა. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის განყოფილების გამგე ამხ. ალექსანდრე ანდრიას ძე **ჭანტურია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 5 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 ამხ. ი. ვ. გოგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. ივანე ვლასის ძე **გოგელია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 ამხ. ნ. ა. ლანდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ლანდია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 ამხ. ა. კ. კავკასიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლეთან დაკავშირებით, კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი ამხ. ალექსანდრა კონსტანტინეს ასული **კავკასიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 სომხეთის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წლის იანვარში ქ. თბილისში წარმატებით გამოსვლისათვის, სომეხ და ქართველ ხალხს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში წვლილისათ-

ვის, სომხეთის გ. სუნდუკიანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 24 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 ამხ. გ. ნ. კაპლანიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წლის იანვარში სომხეთის გ. სუნდუკიანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქ. თბილისში წარმატებით გამოსვლასთან დაკავშირებით და სომხურ-ქართული თეატრალური კავშირურთიერთობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის თეატრის მთავარი რეჟისორი ამხ. გრაჩი ნიკიტას ძე **კაპლანიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 24 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 ამხ. ლ. ა. პირადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე

ამხ. ლაზარე ანდრიას ძე **პირადოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 31 **იანვარი.**

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, თავის 1979 წლის 24 იანვრის სხდომაზე მოისმინა რა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. კურტანიძის, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჯ. შენგელის, ახალქალაქის და დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. რ. ეფრიკიანის და გ. წიკლაურის, გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. შ. ჯვარიძის **და საქართველოს** სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის ამხ. მ. ინაურის ინფორმაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება დაიწყო დროულად და სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს დამკვრელური, თავდადებული შრომით აღნიშნავენ. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს სახელმწიფო გეგმისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

ზემოაღნიშნულ ქალაქსა და რაიონებში დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები. აღმასრულებელი კომიტეტები და საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილია არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციით, ბლანკებით, საარჩევნო ლიტერატურით, ინვენტარით და სხვ.

ჩატარდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, განაწილებულია ფუნქციები კომისიების წევრთა შორის, დაწესებულია მორიგეობა.

ყველა საარჩევნო ოლქი ტელეფონიზებულია.

ამასთან პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქ. ზუგდიდში, ახალქალაქის, გორის და დუშეთის რაიონებში არჩევნებისათვის მზადების საქმეში რიგი ნაკლოვანებებია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის სრული შესაბამისობით უზრუნველყონ არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების განხორციელება;

დაეხმარონ საარჩევნო უბნებს შენობების უკეთ მოწყობა-გაფორმებაში, მოამარაგონ ყუთებით, ბეჭდებითა და არჩევნებისათვის საჭირო სხვა ნივთებით;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენას, მათ დაზუსტებას. ამ საქმეში მეტად ჩააბან დეპუტატები და ფართო აქტივი. დადგენილ ვადაში გამოაქვეყნონ ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის;

უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები საბჭოთა საარჩევნო სისტემის, საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებზე; გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიები და მათი შრომითი საქმიანობა; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახსნა-განმარტებით მუშაობას ახალგაზრდა ამომრჩევლებთან, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში;

არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში უზრუნველყონ მოსახლეობის კულტმასობრივი მომსახურება — მოაწყონ მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივების, ესტრადისა და თეატრის მსახიობების კონცერტები;

ჩაატარონ სათანადო მუშაობა იმ განაწესების ზუსტი აღრიცხვისათვის, რომლებსაც ამომრჩევლები მისცემენ დეპუტატობის კანდიდატებს წინასაარჩევნო კრებებზე და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის

დროულად განიხილონ მშრომელთა განცხადებები და საჩივრები და გასცენ მათ ამომწურავი პასუხი.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიები კავშირგაბმულობის საშუალებებით. მიიღოს ზომები არჩევნებისათვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების შეუფერხებელი მუშაობისა, აგრეთვე არჩევნებთან დაკავშირებულ საფოსტო გზავნილებათა დროულად მიწოდებისათვის; მოაწყოს იმ საარჩევნო უბნების რადიოსადგურით მომსახურება, რომელთაც არ გააჩნიათ სატელეფონო კავშირი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაამახვილა ადგილობრივი საბჭოების ყურადღება, რომ დაიწყო საარჩევნო კამპანიის მეტად საპასუ-

ქ. ზუგდიდის სახ. საქ. სსრ საბჭოთაშ

ხისმგებლო ეტაპი, და დაავალა მათ მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და გააღრმაონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლებას; დარაზმონ ისინი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების და მეათე ხუთწლედის მეოთხე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

* * *

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა რა კონსტიტუციური მოთხოვნების განხორციელებას დედისა და ბავშვის სამართლებრივი დაცვის, მათი მატერიალური და მორალური მხარდაჭერის, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და აღზრდისათვის სახელმწიფო ზრუნვის უზრუნველყოფის შესახებ და 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ბავშვებისადმი საახალწლო მიმართვასთან დაკავშირებით, დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი შესაბამის ორგანიზაციებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის, სწავლებისა და აღზრდის შესახებ კანონმდებლობის განხორციელებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, რათა უზრუნველყონ:

— ყველა საჭირო პირობის შექმნა ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სულიერი განვითარებისათვის, რისთვისაც ბიუჯეტის თავისუფალი სახსრები წარმართონ მათი საჭიროებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად;

— სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშობლებისა და ოჯახების პასუხისმგებლობის გაძლიერება ბავშვთა აღზრდისა და მათი ინტერესების დაცვისათვის;

— საყოველთაო საშუალო განათლების განუხრელად განხორციელება, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადებისადმი ყურადღების გაძლიერება;

— მოზარდთა შრომის შესახებ კანონმდებლობის მკაცრი დაცვა, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების განუხრელად გაუმჯობესება.

მიიღონ გადამჭრელი ზომები ახალშობილების, ბავშვებისა და მოზარდების სამედიცინო დახმარების სრულყოფის მიზნით; უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შრომის პირობებისა და დედათა და ბავშვთა ჯან-

მრთელობის დაცვის გაუმჯობესების საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა; შეიმუშაონ 1979-1985 წლებში მრავალპროფილიანი ბავშვთა საავადმყოფოების, პოლიკლინიკა-კონსულტაციების, გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, ბავშვთა სანატორიუმების, პიონერთა ბანაკების, სპორტული ბაზების მატერიალური ბაზის სრულყოფის, გაფართოების და მშენებლობის კონკრეტული პროგრამა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და სხვა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელის შემდგომ გაფართოებას; ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების უთუო შესრულებას, ამასთან გაითვალისწინონ რესპუბლიკაში სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნველყოფის მეტისმეტად დაბალი დონე.

ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის ორგანოებთან, კვების, ხორცისა და რძის სამრეწველო საწარმოებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებები სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში, სამკურნალო დაწესებულებებსა და სანატორიუმებში ბავშვთა კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად; ქალაქებსა და რაიონებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების, საუბნო პედიატრიული სამსახურის შემდგომი სრულყოფისათვის.

მოზარდ თაობაში მაღალი მოქალაქეობრიობისა და კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბების შესახებ სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველმხრივ სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სკოლისგარეშე დაწესებულებებში — პიონერთა სასახლეებსა და სახლებში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, სპორტულ სკოლებში, პიონერთა ბანაკებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის; სახალხო განათლებისა და მეცნიერების; ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების; მრეწველობის; სოფლის მეურნეობის; მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; კულტურის; ახალგაზრდობის საქმეთა; ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების; საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიებს რჩევა მიეცათ:

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ბავშვებზე ყოველდღიური ზრუნვის, მათი განათლებისა და აღზრდის, საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების, ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად;

— სათანადო საკითხების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ მუშაობის ყოველმხრივ გააქტიურებას ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისათვის, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის სრულფასო-

ვნად განხორციელებისათვის; სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკა-კონსულტაციების, სანატორიუმების, პიონერთა ბანაკებისა და სპორტული ნაგებობების ასაშენებლად; ბავშვთა კვების ორგანიზაციის, სათამაშოების, ბავშვთა ტანსაცმლის, საბავშვო ინვენტარისა და სასწავლო ნივთების ასორტიმენტისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად; საბავშვო ლიტერატურის გამოცემის გაუმჯობესებისა და მისი თემატიკის გაფართოებისათვის, აგრეთვე თეატრებსა და კინოში რეპერტუარის, საბავშვო რადიო და სატელევიზიო გადაცემათა თემატიკის გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს საკითხი ბავშვთა სკოლამდელი და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მშენებლობისათვის დამატებითი ასიგნებებისა და მატერიალური რესურსების გამოყოფის შესახებ და მიღებული ზომების თაობაზე აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1979 წლის 1 მარტისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს რჩევა მიეცა შეიმუშაოს პიონერთა ბანაკების, სპორტული ბაზებისა და ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის სპეციალური პროგრამა 1979-1985 წლებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიოს არსებული ქსელის გაფართოების და ბავშვთა და მოზარდთა კულტურული დასვენებისა და მათ შორის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის აუცილებლობა.

რესპუბლიკურ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას დაევალა სისტემატურად გააშუქონ საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვთა საერთაშორისო წლის ჩატარებისათვის გაწეული მუშაობა: ფართო პროპაგანდა გაუწიონ პარტიისა და მთავრობის დაუღალავ ზრუნვას ბედნიერ ბავშვობაზე, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ღირსეული მოქალაქეების აღზრდაზე.

* * *

ამავე სხდომაზე მოისმინა რა საკითხი ამხანაგური სასამართლოებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ ზესტაფონისა და თბილისის ლენინის რაიონებში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი;

— უზრუნველყონ, სადაც ეს აუცილებელია, ამხანაგური სასამართლოების შექმნა და არჩევნების ჩატარება იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგურ სასამართლოებში არჩეულ იქნენ ინიციატივიანი მუშაკები, რომლებიც კოლექტივის ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ;

— სისტემატურად განაზოგადონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, ფართოდ გაავრცელონ საუკეთესო ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის გამოცდილება, გამოიყენონ აქტიური მუშაობისათვის ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებისა და წევრების წახალისების ზომები;

— განახორციელონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი იმისათვის, რომ ამ საბჭოებმა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ამხანაგური სასამართლოების მუშაობისადმი, მეტი მეთოდური და სამართლებრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ;

— მოსთხოვონ ამხანაგურ სასამართლოებს, რომ მათ წელიწადში ერთხელ აღმასკომებს წარმოუდგინონ მონაცემები განხილული საქმეების რაოდენობის, ხასიათისა და გამოყენებული ზემოქმედების ზომების შესახებ.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ შეისწავლონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმო-დაწესებულებებში ამხანაგური სასამართლოების, როგორც შრომისა და საწარმოო დისციპლინის, სოციალისტური საკუთრების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალების გამოყენების პრაქტიკა, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციამ უფრო აქტიურად ჩააბას ამხანაგური სასამართლოები სამართალდარღვევებთან ბრძოლაში.

საქართველოს სსრ პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახალხო სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში ამხანაგური სასამართლოების მნიშვნელობას, განუხრელად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა მათთვის საქმეთა გადაცემის დროს.

რესპუბლიკის პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ საჭიროა გააუმჯობესონ სამართლებრივი დახმარება ამხანაგური სასამართლოებისადმი, ხოლო პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა ამ სასამართლოების საქმიანობის კანონიერებაზე.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს რეკომენდაცია მიეცა უზრუნველყოს საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობის გაძლიერება ამხანაგური სასამართლოების საქმიანობისადმი და მათთვის მუშაობის აუცილებელი პირობების შექმნა.

* * *

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ამხ. რ. ბასარიას ინფორმაცია მოსახლეობის 1979 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მიმდინარეობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების ინფორმაცია რესპუბლიკის მშრომელთა მედლით „შრომის ვეტერანი“ დაჯილდოების მიმდინარეობის თაობაზე და სხვ.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 139 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისიდან 12

ქ. ტყიბულიდან 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშის	რაიონიდან	5
ახმეტის	„	6
ბოლნისის	„	14
გარდაბნის	„	13
გურჯაანის	„	3
დმანისის	„	20
დუშეთის	„	4
ზესტაფონის	„	7
ზუგდიდის	„	4
ლაგოდეხის	„	7
მარნეულის	„	26
საჩხერის	„	4
სიღნაღის	„	3
ცხაკაიას	„	1
წალენჯიხის	„	7